წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

7 დეკემბერი, 2020წ.

ოქმი N3

დღის წესრიგი

1.წყალტუბოს მუნიცილაპიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ
ფ.გაგოშიძე - (საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

სხდომას "ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მ.ჩიხლაძე, მ.ჭავჭანიძე, ხ.მაღლაკელიძე, ლ.აშორდია, რ.კუხალაშვილი, მ.სინაურიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტის მერი გ.იოსელიანი და საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ფ.გაგოშიძე.

გ.იოსელიანმა, მიმოიხილა 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება და აღნიშნა, რომ 2021 წლის სოციალურ პაკეტებში ხორციელდება ახალი რეგულაციები. ბიუჯეტის დაფინანსება გაიზარდა 30 მილიონამდე. 4 მილიონი ლარი 2019 წლის ბიუჯეტიდან დარჩენილი ნაშთი გადმოვიდა 2020 წლის ბიუჯეტში. აგრეთვე მიმოიხილა ახალი რეგულაციები 2021 წლის ბიუჯეტში.

ფ.გაგოშიძემ უფრო ვრცლად მოახსენა სხდომას გავლილი 2020 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2021 წლის ბიუჯეტის ახალ პროექტებზე. მან აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტი იზრდება 609 ათასი ლარით. გათვალისწინებული იქნება რიგი დაავადებების დაფინანსება. კერძოდ, პარკისონის დაავადება. გაიზრდება თანამშრომლების რაოდენობა აიპებში, ჯანდაცვის მიმართულებით დაფინანსება მიზნობრივი პაკეტები; ინფრასტრუქტურაში ასევე გათვალისწინებული იქნება გზების სარეაბილიტაციო და სხვადასხვა სამუშაოების დაფინანსება. ასევე კეთილმოეწყობა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბინების ეზოები და სადარბაზოები. გათვალისწინებულია პრიორიტეტი მიენიჭოს ინფრასტრუქტურის სამუშაოების პროექტებს განხორციელებას.

ბიუჯეტის განხილვის შემდეგ კითხვები გაუჩნდათ საბჭოს წევრებს. კერძოდ, ლეილა აშორდიამ მეოთხედ დასვა საკითხი დამაკავშირებელი გზის თაობაზე, რომელიც უნდა გაკეთდეს ტურიზმის ცენტრიდან ენერგო პრო ჯორჯიას შენობამდე, ის თაობაზეც გიორგი იოსელიანმა აღუთქვა დაპირება, რომ აუცილებლად დამატებით იქნება განხილული და გათვალისწინებული ეს საკითხი ბიუჯეტში.

რომან კუხალაშვილმა ასევე დასვა საკითხი ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის (ბაზრის უკანა მხარე), „საქართველოს ბანკისა" და მაღაზია „მაგნიტის" წინ არსებული გზების ტერიტორიების ასფალტის საფარით დაფარვისა და სანაგვე ბუნკერების

დადგმის შესახებ, რაც აუცილებელია იმის გამო, რომ აქ ტურისტთა თითქმის ყველა ადამიანი აქტიურად მოზრაობს და მოითხოვს მეტ ყურადღებას.

მთლიანად ბიუჯეტის პროექტი საბჭოს მიერ დადებითად იქნა შეფასებული..

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სამოქალაქო საბჭოს თავმჯდომარე მანანა ჩიხლაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სამოქალაქო საბჭოს მდივანი მარინა ჭავჭანიძე